საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 804

19 12 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მეოთხე კომპონენტის (სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საგანმანათლებლო რესურსების ჩამოყალიბება) ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს ავტორებისა და მეთოდოლოგიური ექსპერტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შეთანხმების კოორდინატორის, თამარ სამხარაძის, 2017 წლის 04 დეკემბრის №1472299 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 19 დეკემბრიდან 2017 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის (შემდგომში - პროექტი) - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ – მეოთხე კომპონენტის (სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საგანმანათლებლო რესურსების ჩამოყალიბება) ფარგლებში, შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.2. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (ნიადაგის დამუშავება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.3. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მემცენარეობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 2;

1.4. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (საკვებწარმოება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.5. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მეცხოველეობა-მეღორეობა, მესაქონლეობა, თხისა და ცხვრის მოვლა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 2;

1.6. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მებოცვრეობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.7. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მეცხენეობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.8. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.9. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მეფრინველეობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 2;

1.10. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მეხილეობა, თესლოვანი, კურკოვანი, კენკროვანი, კაკლოვანი და ტროპიკული მცენარეები) ავტორი - ადგილების რაოდენობა 2;

1.11. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მებოსტნეობა-ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.12. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მინდვრის კულტურების წარმოება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.13. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მებაღეობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.14. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (ბიომეურნეობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 2;

1.15. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (აგრომექანიზაცია) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.16. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (სურსათის უვნებლობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.17. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (ფერმერული მეურნეობის მართვა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.18. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.19. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (ხორცის გადამუშავება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.20. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (რძისა და რძის პროდუქტების წარმოება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.21. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მარცვლეული კულტურების გადამუშავება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.22. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.23. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მეჩაიობა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.24. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (შრომის უსაფრთხოება, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.25. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მცენარეთა დაცვა) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.26. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (ალკოჰოლური სასმელების წარმოება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.27. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (უალკოჰოლო სასმელების წარმოება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.28. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (მარცვლეული კულტურების გადამუშავება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.29. პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს (პურ-პროდუქტების წარმოება) ავტორი - ადგილების რაოდენობა 1;

1.30. მეთოდოლოგიური ექსპერტი - ადგილების რაოდენობა 1.

2. ამ ბრძანების 1.1-1.29 პუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე შერჩეულ პირებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები 2018 წლის 03 იანვრიდან 2018 წლის 03 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე, ხოლო 1.30 პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე შერჩეულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2018 წლის 03 იანვრიდან 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე.

3. ამ ბრძანების 1.1-1.30 პუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე შერჩეული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაო, წარმოსადგენი პროდუქტები, შესაბამისი შრომის ანაზღაურება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

4. ამ ბრძანების 1.1-1.30 პუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge - აუცილებლად უნდა გამოაგზავნონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

5. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის - www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

7. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე